

დისპოზიცია || **პრედიკატი** (ლათ. dispositio მოწყობილი, გაწყობილი → disposition)

– განლაგება, მოწყობა, გაწყობა. ფსიქოლოგიაში: ინდივიდის სულის „განლაგება“ ანუ ღრმა, ნაკლებცვალებადი, მყარად ფიქსირებული განწყობა – რაც ამ ინდივიდის მახასიათებელია, მისი ხასიათია. შესაბამისად, ესაა ინდივიდის წინასწარი მზაობა ამათუიმ ქმედებისათვის ანუ ინდივიდის შინაგანი საფუძველი იმ ქცევების, ქცევების თანმიმდევრობისა ანდა ქცევების იმ ცალკეული მხარეებისა, რომლებიც არაა მიზეზშედევობრივად გამოწვეული გარემოს მიერ [ვ. შტერნი]; მზაობა ვითარების თავისებური შეფასებისა; მზაობა იმდენად მდგრადი და ხანგრძლივი, რომ ინდივიდის ერთერთ მახასიათებელს, მის თავისებურებას შეადგენს. ცხადია, **ღ** მხოლოდ დროდადრო, სათანადო ვითარებებში აქტუალიზდება. შესაბამისად, ფსიქიკაში ის ლატენტურადაა შენახული, ვითარც სპეციფიკური **პოტენცია**. ზოგ თეორიაში და მათ შორის საბჭოთა სოციალურ ფსიქოლოგიაში „**ღ**“ განსაზღვრულია, ვითარც **ცნობიერი** მზაობა შეფასებისა თუ ქცევისა (რომელიც ინდივიდის გამოცდილებითაა განპირობებული). **განწყობის თეორიისთვის** ეს განსაზღვრება სრულიად მიუღებელია – ესაა, არსებითად, არა **ღ**-ის, არამედ **ატიტუდის** განსაზღვრება. ხოლო **ღ** არაცნობიერი მზაობაა, რომელიც ატიტუდისა და სხვა ცნობიერი მოვლენების საფუძველია.

პიროვნება, არსებითად, **ღ**-ების ინდივიდუალური კომპლექს-სისტემაა [ფ. კრიუგერი და გ. ოლპორტი]. ერთი ადამიანისთვის **ღ**-ათა რაოდენობა რამდენიმე ათასია, თუმცა მათგან ყველაზე მთავარი ოცამდეა, რომლებიც პიროვნების ხასიათის ნიშნებს შეადგენს და რომელთა სპეციფიკური ორგანიზაცია ინდივიდუალურ თავისებურებას განსაზღვრავს. ამგვარი **ღ** ინტენციონალურია, ანუ, გარდა მზაობა-ორგანიზაციისა, იმავდროულად **მისწრაფება-მიდრეკილება**ცაა – მომავლისკენ პიროვნების მიმართულობის ფორმაა. **ღ**-ათა სამი ყველაზე მთავარი ჯგუფი თანდაყოლილი **ღ**-ებია: **ინსტინქტები** და ყოველგვარი ინსტინქტური მისწრაფებანი; თანდაყოლილი თვისებები; შესაძლებლობის სახით მოცემული მრავალფეროვანი **უნარიანობა-ნიჭიერებანი** და მიდრეკილებანი. თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე შეძენილ **ღ**-ებს.

ყოველი **ნებელობის** აქტი და ნებელობის პროცესი არსებითს კავშირშია პიროვნებასთან, პიროვნების თავისებურებათა დალითაა აღბეჭდილი. მათ წინ უსწრებს პიროვნების მიდრეკილება გარკვეულის, სხვებისგან განსხვავებული სახის ნებელობითი მოქმედების მიმართ. სწორედ ესაა, რასაც „პიროვნების ხასიათი“ ეწოდება. მისი ფსიქოლოგიური არსია პიროვნების **დისპოზიციური განწყობა**, გარკვეულ განწყობათა **აქტუალიზაციის** უნარი [დ. უზნაძე]. განწყობის თეორიაში, ისევე როგორც ოლპორტის თეორიაში, ადამიანის ყოველი თავისებური შესაძლებლობა-მიდრეკილება იმთავითვე მისწრაფებაცაა. პიროვნების ხასიათს ქმნის **ღ**-ურ განწყობათა რთული სისტემა; ხასიათი – „ნებელობის **ღ**-ა“; თვითეული ასეთი **ღ**-ური განწყობა – ინდივიდუალური ხასიათის ერთი ნიშანთვისებაა. ადამიანის პიროვნულ-ტიპოლოგიური **ღ** გამოირჩევა შემდეგი ნიშანთვისებებით [ვლ. ნორაკიძე]:

- 1) განსაკუთრებით დიდი „პიროვნული წონა“ ანუ „მნიშვნელოვანება“ – უფრო ზუსტად, ესაა ძლიერი **გამორჩევალობა-არანეიტრალურობა**;

- 2) განსაკუთრებული სიმტკიცე და დროში გამძლეობა;
- 3) ადვილი აგზნებადობა, აღმოცენების სიადვილე, „ზოგადობა“ ანუ არასპეციფიკურობა – მრავალი სულ სხვადასხვა ქცევის განწყობაში ჩართვის შესაძლებლობა (საყოფაცხოვრებო ენით: ადამიანი თავის ხასიათს სულ სხვადასხვა ქცევაში ავლენს);
- 4) უპირატესად (თუმცა არა მხოლოდ) სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულობა.